საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1849

2017 წლის 31 აგვისტო

ქ. თბილისი

ქ. ბორჯომის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისათვის, სასარგებლო წიაღისეულის გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) „სადგერის“ მიწისქვეშა სუბთერმულ-მინერალური წყლის მოპოვების ლიცენზიის პირდაპირი წესით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლისა და „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 3^1 მუხლის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, ქ. ბორჯომის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისათვის, გასცეს სასარგებლო წიაღისეულის გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) „სადგერის“ მიწისქვეშა სუბთერმულ - მინერალური წყლის მოპოვების ლიცენზია შპს „პარკ ჰოტელზე“ (ს/კ: 405030327) პირდაპირი წესით.

2. სუბთერმულ-მინერალური წყლის მოსაპოვებელი მოცულობა განისაზღვროს წელიწადში 62 050 (სამოცდაორი ათას ორმოცდაათი) კუბური მეტრით.

3. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) ლიცენზიის მიღებიდან 2 (ორი) წლის ვადაში უზრუნველყოს №10 ჭაბურღილის წყლის მარაგის გამოთვლა და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) მარაგების დამტკიცების შემდგომ, ლიცენზიაში ცვლილების შეტანის მიზნით, მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის გაზრდილ ოდენობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაიხადოს „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^1 მუხლის მე -10 პუნქტის შესაბამისად დაანგარიშებული თანხა;

გ) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს საბადოს მარაგის მთლიანი რესურსის ათვისება;

დ) სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობა განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობითა და „სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ობიექტის ნუსხისა და მინერალური წყლის ხარისხისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის №310/ნ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

4. ლიცენზიის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2041 წლის 30 დეკემბრამდე.

5. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 3^1 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის პირდაპირი წესით გაცემისათვის სალიცენზიო ფასი განისაზღვროს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**